ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 13 დეკემბერი № 140 (11626) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ალექსანდრე ვარძელაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, ავთანდილ მარგიანი, ნოდარ ნათაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ანდრია აფაქიძე, ფოტი ჩიტლოვი, ვლადიმერ მირცხულავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ლევან ალექსიძე. დეპუტატების წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი გენრიხ მალიუშკინი.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებულია აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (კანონი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის საკითხი, რაც მოახსენა სესიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, მზექალა შანიძე, ეთერ გუგუშვილი, რომან გოცირიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნუგზარ მოლოდინაშვილის ინფორმაცია და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. განისაზღვრა ამ არჩევნების მოწყობის თარიღი — 1991 წლის 3 მარტი. მიღებულია აგრეთვე დადგენილება ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს გ. დ. მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნინო ჯავახიშვილი, ბიძინა დანგაძე.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამირან კალაძის წინადადებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის № 1 მოწმობა გამოიწეროს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელზე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა ახლანდელ რთულ სიტუაციაში დაიცვას სიმშვიდე, ხელი შეუწყოს მდგომარეობის სტაბილიზაციას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ყოველმხრივ ილონოს სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

სს „საქართველო".

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის № 2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ" და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ".

4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

— განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

— შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად გარდამავალ პერიოდში უნდა მოხდეს საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ამასთან, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მე-20 მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს უფლებამოსილების ვადა 1989 წლის 21 დეკემბერს გაუვიდათ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით მათი უფლებამოსილება გაგრძელდა ახალ არჩევნებამდე, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 მარტის დადგენილებით — 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები 1991 წლის 3 მარტს.

2. ხელისუფლების ახალი ადგილობრივი ორგანოების არჩევამდე შეწყდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების უფლებამოსილება.

3. ხელისუფლების ახალი ადგილობრივი ორგანოების არჩევამდე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ამ რეგიონებიდან არჩეული დეპუტატების მიერ აღმასრულებელ კომიტეტებთან ჩამოყალიბებული დროებითი კომისიების დახმარებით.

4. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი

●

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ხელახალი არჩევნები № 78 ლენტეხის, № 80 აბაშისა და № 125 ახალგორის საარჩევნო ოლქებში დაინიშნოს 1991 წლის 3 თებერვალს, ხოლო № 108 ტყვარჩელის, № 106 გუდაუთის, № 121 ცხინვალისა და № 123 ჯავის საარჩევნო ოლქებში გადატანილ იქნეს 1991 წლის გაზაფხულისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საგანგებო წესების შესახებ

მუხლი 1. საგანგებო წესები არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ინტერესებისათვის, სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, აგრეთვე მასობრივი არეულობის დროს.

საგანგებო წესების გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესებს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აფრთხილებს მოსახლეობას ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შემოიღებს კიდეც შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თხოვნით ან თანხმობით. თანხმობის უქონლობის შემთხვევაში შემოიღებს საგანგებო წესებს და დაუყოვნებლივ შეაქვს მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად. ამ საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, რომელიც უნდა შეადგენდეს საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა 2/3-ს.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 3. საგანგებო წესების შემოღებისას აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილებების მიღების მოტივები, მოქმედების ვადა და ტერიტორიული საზღვრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც საგანგებო წესები გამოაცხადა, უფლება აქვს გააუქმოს იგი დადგენილი ვადის გასვლამდე ან გაახანგრძლივოს საგანგებო წესები, თუ არ აღმოიფხვრა გარემოებანი, რომელნიც მისი გამოცხადების საფუძველი გახდა.

საგანგებო წესების შემოღების, გახანგრძლივების ან გაუქმების გადაწყვეტილება ძალამოსილია მისი მიღების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის საგანგებოდ დათქმული, და დაუყოვნებლივ ქვეყნდება.

მუხლი 4. საგანგებო წესების პირობებში, კონკრეტულ გარემოებათა კვალობაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საქმიანობას და სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებას;

2) დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, ამასთან უთუოდ მისცენ სტაციონარული ან დროებითი სხვა საცხოვრებელი სადგომები;

3) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

4) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გაამეორონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

5) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — აგრეთვე სასწავლო სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

6) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

7) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

8) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები; აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

9) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის.

10) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

11) ჩაბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

12) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებითა და სპირტშემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

13) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

14) შეზღუდონ ან აკრძალონ გასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო- და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო- და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენება; ჩამოართვან ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

15) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

16) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

17) შემოიღონ კომენდანტის საათი;

18) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების. მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა, რომლებიც აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

19) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა. რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

20) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო სათანადო სათუძვლის არსებობის შემთხვევებში, მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ გააუქმონ იმ ადგილებში მოქმედი ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული.

საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამუშაოთა კოორდინაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუძლია შექმნას სპეციალური დროებითი ორგანოები.

მუხლი 6. საგანგებო წესების პერიოდისათვის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევებში გადაიყვანონ მუშა-მოსამსახურენი მათ დაუკითხავად სამუშაოზე, რომელიც არ არის დათქმული შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 7. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ან გამოვიდნენ თავიანთი ბინის ფარგლების გარეთ, თუ არ ექნათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის დამრღვევ პირებს აკავებს პოლიცია ან პატრული კომენდანტის საათის დამთავრებამდე, ხოლო იმათ, ვისაც თან დოკუმენტები არ აღმოაჩნდება, — მათი პიროვნების დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი დღისა; დაკავებულნი შეიძლება პირადად გასინჯონ, აგრეთვე შეიძლება გაუსინჯონ ნივთები, რომლებიც თან აქვთ.

მუხლი 8. მე-4 მუხლის 3, 4, 6, 10 და 12-16 პუნქტების შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების, აგრეთვე ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ათას მანეთამდე ჯარიმის სახით, ანდა დაპატიმრებას თხუთმეტ დღემდე ვადით, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. პროვოკაციული ხმების დაყრა, მართლწესრიგის დარღვევის პროვოკაციულად გამოწვევი ან ეროვნული შუღლის ჩამომგდები მოქმედება, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისადმი აქტიური წინააღმდეგობა, აგრეთვე ჯიუტი ურჩობა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლის, სახალხო რაზმელის ან სხვა იმ პირების კანონიერი განკარგულებისა თუ მოთხოვნისადმი, რომლებიც ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას ან იხდიან საზოგადოებრივ ვალს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, ანდა სხვა მსგავსი მოქმედება, რომელიც აღღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ან ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა, რაც ჩადენილია ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, — იწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ოცდაათ დღემდე ვადით.

აღნიშნული სამართალდარღვევების საქმეთა ოქმებს ადგენენ სამისოდ უფლებამოსილი შინაგან საქმეთა ორგანოების ან ცალკეული ადგილის კომენდატურის მუშაკები.

საქმეებს ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ სამი დღის ვადაში ერთპიროვნულად განიხილავენ სახალხო მოსამართლე ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, ან მისი მოადგილეები, ანდა ცალკეული ადგილის კომენდანტი.

მუხლი 10. საგანგებო წესების პირობებში აკრძალული გაფიცვის ხელმძღვანელობა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ათი ათას მანეთამდე ჯარიმით ან ორ წლამდე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით. ანდა სამ წლამდე ვადის თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 12. საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციისათვის მოხმობილი ძალების მოქმედების კოორდინაციის, ხელმძღვანელობისა და თანამოქმედების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით შეიძლება შეიქმნას ერთობლივი ოპერატიული შტაბი და დაინიშნოს შესაბამისი ადგილის კომენდანტი.

კომენდანტი გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ კანონის ფარგლებში საგანგებო წესების რეჟიმის ხელშეწყობის საკითხებს.

მუხლი 13. საგანგებო წესების გამოცხადებისას, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება მოზიდულ იქნენ სპეციალისტები ორ თვემდე ვადით, რომელთა დახმარება საჭიროა სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ენიჭება უფლება საგანგებო წესების პირობებში შეცვალოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კანონით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობა.

მუხლი 15. საგანგებო ვითარების დროს ან მისი თავიდან აცილებისა თუ ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით, დაზარალებულ მოქალაქეებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები აძლევენ საცხოვრებელ სადგომს, უნაზღაურებენ მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარებიან სამუშაოზე მოწყობაში და უწევენ სხვაგვარ დახმარებას.

ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 16. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების ჯეროვან განხორციელებას: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია შემოიღოს დროებითი მმართველობა.

ამასთან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება შეჩერდება, ხოლო მათი ფუნქციების განხორციელება დაეკისრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილ ორგანოს ან მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს, რომლებსაც უფლება აქვთ:

გამოიყენონ ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი;

შეაჩერონ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება და დროებით შეასრულონ მათი ფუნქციები;

შეიტანონ წინადადებანი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში;

დაიქვემდებარონ შესაბამის ადგილას განლაგებული ყოველგვარი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 17. საგანგებო წესების ამოქმედებიდან და გაუქმების საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 18. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა-შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები:

1. კონსტიტუციის მე-9 თავი ამოღებულ იქნეს.

2. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი სიტყვები:

ა) 71-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“;

ბ) 72-ე მუხლის მე-8 პუნქტიდან და 119-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“;

გ) 85-ე მუხლიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“;

დ) 104-ე მუხლის მე-11 პუნქტიდან: „აგდენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას“;

ე) 104-ე მუხლის 26-ე პუნქტიდან: „აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“;

ვ) 108-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, 110-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 111-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“;

ზ) 112-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე“;

თ) 119-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან: „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები“;

ი) 125-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, 141-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, 153-ე მუხლიდან და 171-ე მუხლიდან. „ავტონომიური ოლქის“;

კ) 128-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „აგრეთვე გააუქმოს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“;

ლ) 137-ე მუხლიდან: „ავტონომიურ ოლქში“;

მ) 150-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო“;

ნ) 163-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო“;

ო) 164-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან: „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“ და „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო“;

პ) 177-ე მუხლის პირველი ნაწილიდან „და ავტონომიური ოლქის“ და „და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“.

3. კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილს სიტყვა „ასპინძის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ახალგორის“. სიტყვა „ზესტაფონის“ შემდეგ სიტყვა „ზნაურის“, სიტყვა „ცაგერის“ შემდეგ სიტყვა „ცხინვალის“, სიტყვა „ხონის“ შემდეგ სიტყვა „ჯავის“, სიტყვა „ქუთაისის“ შემდეგ სიტყვა „ცხინვალი“.

4. კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი სიტყვები: „ავტონომიური ოლქების გაუქმება“.

5. კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აქვეყნებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.

მშვენიერება გადაარჩენს კაცობრიობას!

პეგასი

PEGASUS

1990

13 დეკემბერი.

გამოდის 1990 წლიდან

№ 7

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ორგანო

AGENCY OF INTERNATIONAL CULTURAL ASSOCIATION OF GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარხვა

„საყუარელნო, მარხვა დედა არს სიწმინდისა და წინამძღვარი ლოცვისა. მარხვა ცხადმყოფელი არს სინანულისა და ყვავილი ყოვლისა კეთილისა ნაყოფისა". — ბრძანებს იოანე ოქროპირი.

წმიდა წერილი გვასწავლის, რომ ღმერთმა მარხვა დაუდგინა სამოთხეში მცხოვრებ ადამსა და ევას. ეს იყო პირველი მცნება, რომელიც უნდა დაეცვა ადამიანს. მას არ უნდა ეგემა ედემის შუაში დანერგილი კეთილისა და ბოროტის ცნობის ხის ნაყოფი, რომლის შეჭმაც სიკვდილს მოუტანდა. უცოდველი ადამიანი, რომელმაც არ იცოდა თუ რა არის უკეთურება, გაჭირვება, სნეულება, ხრწნა, სიკვდილი, უნდა დამორჩილებოდა თავის შემოქმედს. პირველი ადამიანის დაცემით დაეცა მთელი სამყარო და დამკვიდრდა სიკვდილი. რისთვის დაუდგინა უფალმა ადამსა და ევას მარხვა? რაში უნდა დასჭირვებოდა უზენაესს მათ მიერ საჭმლისაგან თავის შეკავება? წმიდა მამები გვასწავლიან, რომ ნაყოფი, რომლის ჭამაც ეკრძალებოდა ადამიანს ჯერ არ დამწიფებულიყო მისთვის, ე. ი. ის ჯერ არ იყო მზად, რომ მიეღო ცოდნა ბოროტისა და კეთილის შესახებ. ამგვარად, მარხვა თავად ადამიანისთვის იყო საჭირო, რათა სრულყოფა განეცადა. მარხვის დარღვევით იგი წინ აღუდგა თავის შემოქმედს. ეს ნაბიჯი იყო ნიშანი მისი ამპარტავნებისა და კადნიერი სურვილისა, ყოფილიყო, ვითარცა ღმერთი.

წმიდა ეკლესია, რომელიც ღმერთმა დაამკვიდრა იმისთვის, რომ სასუფეველში შეჰკრიბოს თავისი ჭეშმარიტი შვილები, რომელიც არის სახე უფლის განკაცებული ძისა, იესო ქრისტესი, მოუწოდებს ყოველ ქრისტიანს, რომ შეინახოს მარხვა. იესო ქრისტემ თავისი ქვეყნიური ცხოვრებისას თვითონ მოგვცა მაგალითი მარხვისა, როცა ორმოცი დღე იმარხულა უდაბნოში. მსგავსად პირველი ადამიანებისა, მარხვა აუცილებელია თითოეული ჩვენგანისთვის. მარხვა არის საწინდარი ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური სიჯანსაღისა. შეუძლებელია, აღიწეროს ყოველი სიკეთე მარხვისა. მარხვა ანახლებს ცოდვით გახრწნილ სულს. მისი მეოხებით ადამიანი თრგუნავს მრავალ ვნებასა და უკეთურებას. იგი არის საფუძველი უბიწოებისა და მცველი ღვთისმოსაობისა. მარხვა განგვაშორებს ბოროტ ძალებს და გვაზიარებს სული წმიდის მადლს. მარხვით ცხრება ჩვენი მრისხანება, ითრგუნება ავხორცი ალძვრანი და ილვიძებენ სათნოებანი. მარხვით ყუჩდება ამაო გულისთქმათა ამბოხი, წყნარდება ჩვენი გონება, იწმინდება აზროვნება. ადამიანი უკეთ ფლობს საკუთარ სულიერ ძალებს, იმორჩილებს მოუთოკავ სხეულს და ცხოვრების მღელვარე ზღვაში თავისი ხომალდი სათნოებათა ნავთსაყუდელში მიჰყავს.

მარხვა არის მკურნალი არა მხოლოდ სულიერი უძლურებისა, იგი ჩვენს ხორციელ სიჯანსაღესაც უზრუნველყოფს. ყოველი დაავადების მიღმა დგას ადამიანის სულიერი სიძაბუნე, რომელიც არის თავი და თავი ამ სნეულებისა. ცნობილია, რომ დაავადებათა უმეტესობა სწორედ არასწორი და გადაჭარბებული კვებით არის გამოწვეული. არაზომიერი ჭამა, ნაყროვანება და გემოთმოყვარეობა ერთ-ერთი მძიმე ცოდვათაგანია, რომელიც სხვა უკეთურობების მიზეზიც ხდება. მაგრამ ძლიერ ცდებიან ისინი, ვისაც მარხვა მხოლოდ საჭმლისაგან თავის შეკავება ჰგონია. მარხვა არის თავისუფალი მორჩილება, რომლის დროსაც ადამიანი თავისსავე სურვილით ექცევა ეკლესიის სულიერი ცხოვრების რიტმში. ბასილი დიდი ბრძანებს: „ნუ განყენებითა ოდენ საჭმლითაჲ დაუდებ საზღვარსა სიკეთესა მას მარხვისასა, რამეთუ მარხვაჲ ჭეშმარიტი არს ბოროტთაგან უცხოყოფაჲ". ამგვარად მარხვა არის თავის შეკავება ყოველგვარი უკეთურებისაგან. იგი არის ადამიანის განსაკუთრებული ძალისხმევა, რომ სრულჰყოს საკუთარი სულიერი ცხოვრება. გახეროდოს მიწიერ საგნებზე ამაო ზრუნვას. დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია მისი ყოველდღიური ცხოვრებისთვის. თავი შეიკავოს გართობისაგან და უზრუნველობისაგან. მეტი დრო დაუთმოს ღვთის მსახურებას. აღასრულოს კეთილი საქმენი, დაეხმაროს გაჭირვებულს. სხვათა განსჯისა და განკითხვის ნაცვლად, საკუთარ გულში ჩაიხედოს და იქ ეძიოს უკეთურობა. მარხვა გარეშე სინანულისა, არ არის მარხვა. თუ ადამიანი ვერ ხედავს საკუთარ ნაკლსა და ცოდვებს, გულწრფელად არ განიცდის მათ, მისი მარხვა არ არის სრულყოფილი. მარხვის ჟამს ქრისტიანები სულის განსაწმედელად ხშირად ამბობენ აღსარებას, და იღებენ წმიდა ზიარების საიდუმლოს. განუყოფელია ერთმანეთისგან მარხვა და ლოცვა.

ამასთან, მარხვა არის ადამიანის სულიერი მოღვაწეობა, მისი გარკვეული მოსაგრეობა და მსხვერპლი ღვთის წინაშე; იგია ნიშანი ადამიანის სურვილისა, ემსახუროს უფალს... ღმერთი გასაოცარ ჯილდოს გვიმზადებს მარხვისწილ. საუნჯე, რომელსაც გვაძლევს იგი ზეციურია და არა ჰგავს ამა სოფლის ამაო სიამოვნებებს. უფალი დიდ სულიერ ძალას აძლევს ადამიანს და მის სულში სიმშვიდესა და უშფოთველობას ამკვიდრებს. სიყვარულით და სასოებით ავსებს კაცის გულს და ღვთიურ ნეტარებას განაცდევინებს. უმარხველობა, რომელიც თავისთავად ღვთის წინაშე ურჩობასა და წმიდა ეკლესიისადმი ეჭვზეა ამოზრდილი, უკეთურობისაკენ მოუწოდებს ადამიანს. იოანე ოქროპირის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი აღაგზნებს სიამოვნებებს, ამრავლებს ომებს, აღვიძებს მტრობას და ბოლოს და ბოლოს სათნოების უნარს უკარგავს კაცს... რადგან ადამიანი ველარ პოულობს წინააღმდეგობის ძალას და იოლი დასაძლევი ხდება მტერთათვის.

წმიდა ეკლესია, რომელშიც მკვიდრობს მადლი სული წმიდისა და რომელიც ღვთის ხმას გვამცნობს, წელიწადში ოთხ მარხვას ადგენს. თავის სამწყსოს იგი ოთხი უდიდესი დღესასწაულისთვის ამზადებს: უფლის ბრწყინვალე აღდგომისთვის, მაცხოვარის შობისთვის, მოციქულთა თავთა, პეტრესი და პავლეს ხსენებისთვის, და ღვთისმშობლის მიძინებისთვის. ეკლესიას სურს, რომ ადამიანი სულიერად განწმედილი შეეგებოს ამ უდიდეს დღესასწაულებს და გულის კარი გაუხსნას მადლს, რომელიც უშურველად მიენიჭება ყოველ ჭეშმარიტ მორწმუნეს, რათა მოხდეს ჩვენი სულიერი ფერისცვალება, რათა ჩვენს სულში იშვეს იესო ქრისტე. ჯვარს ეცვას ჩვენი ცოდვილი ბუნება და აღსდგეს ახალი სულიერი ადამიანი, რათა მსგავსად მოციქულებისა შევიქმნათ ჭურჭელნი სულიწმიდის მადლისა და შევევედროთ ჩვენი სულის ხსნისათვის მარად მლოცველ დედა ღვთისმშობელს.

„თეთრი ცხენი" და

მისი თხუთმეტი „მხედარი"

ყველაფერი ასე დაიწყო... 1989 წლის ოქტომბერში შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლში ჩამოყალიბდა ბავშვთა მუსიკალური თეატრ-სტუდია, სადაც მოზარდები სურვილის მიხედვით გაერთიანდნენ. ნიჭიერი პედაგოგების დახმარებით ყველას ჰქონდა საშუალება თავისი უნარი გამოევლინა. ბავშვებს საინტერესო მეცადინეობები უტარდებოდათ. მეტყველების, სასცენო მოძრაობის, ცეკვისა და სიმღერის გაკვეთილებმა ბევრი რამ შესძინეს პატარებს.

ასე გრძელდებოდა ხუთი თვე. შემდეგ კი საუკეთესოთა შორის საუკეთესონი შეირჩნენ და თხუთმეტი ბავშვისგან ჩამოყალიბდა თეატრი „თეთრი ცხენი".. სახელწოდება შემთხვევით არ არის შერჩეული. ნორჩი მსახიობების უმრავლესობა, რომელთაგან ყველაზე პატარა 10 წლისაა და ყველაზე დიდი 15-ის, ცხენის წელსაა დაბადებული და რაც ყველაზე მთავარია — თეატრის დაბადება სიმბოლურად უკავშირდება 1990 წელს, ცხენის წელიწადს.

თეატრის მთავარი რეჟისორი ალეკო თეთრაძე, კომპოზიტორები, საქართველოს დამსახურებული არტისტები ჯარჯი მაღალაშვილი და ზურაბ ლალიაშვილი, თეატრის მენეჯერი ნანა ჭავჭანიძე, ადმინისტრატორი თამაზ რაზმაძე — ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ თეატრმა თავისი მიზანი და დანიშნულება გაამართლოს, ბავშვებმა თავიანთი შემოქმედებით მაყურებელს სიამოვნება მიანიჭონ და ჰქონდეს სახით ქართულ თეატრს კულტურული მაყურებელი ჰყავდეს.

დაიდგა ჯარჯი მაღალაშვილის მიუზიკლი „პ+პ" (პრინცი + პრინცესა) ანუ „ტყეში ნუ დაიარები" (მიუზიკლის რეჟისორია ალეკო თეთრაძე, ქორეოგრაფი — საქართველოს დამსახურებული არტისტი თამაზ ვაშაკიძე, ქორეოგრაფის ასისტენტი — გოჩა ბუდალაშვილი, კოსტიუმების მხატვარი — ნინო ჩიტიაშვილი, პიესის ავტორები — თემურ ჭანტურიშვილი და გია კაჭარავა), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

ნორჩმა მსახიობებმა თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნებით უკვე დიდი ხანია გაითქვეს სახელი. ამის დასტურია ზაფხულში მოსკოვში ჩატარებული საბავშვო თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მსოფლიოს ხუთ ქვეყანასთან და მოსკოვის ორ თეატრთან ერთად მონაწილეობის უფლება საქართველოდან „თეთრმა ცხენმა" მოიპოვა. სექტემბერში კი ამერიკაში არსებულ ორგანიზაციის „ინტერნეიშნლ არტს ფორ პის" მოწვევა მიიღეს.

ამერიკაში გამგზავრების წინ პრობლემები მართლაც ბევრი იყო, მაგრამ მათ დიდი დახმარება აღმოუჩინეს შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლმა, საქართველოს მშვიდობის ფონდმა და გაერთიანება „იბერია-კომპლექსმა".

„თეთრი ცხენის" შემოქმედებითი კოლექტივი სექტემბერში გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 40 დღის განმავლობაში მათ 30 სპექტაკლი გამართეს 13 ქალაქში.

ამერიკაში გასტროლები წარმატებით დამთავრდა. სპექტაკლთან ერთად მასპინძლების ყურადღება მიიქცია იქ შესრულებულმა სიმღერებმა, რომლებსაც ქართულ და ინგლისურ ენებზე შესანიშნავად მღეროდა 10 წლის ალეკო ბერძენიშვილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის ყველა წევრი არის ამერიკის ქალაქ ჩატანუგას საპატიო მოქალაქე.

მომავალ ზაფხულს „თეთრი ცხენის" მსახიობები სტუმრად მიიღებენ ამერიკელ ბავშვებს.

თეატრმა ახალ მიუზიკლზე დაიწყო მუშაობა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ „თეთრ ცხენს" და მის თხუთმეტ „მხედარს".

მარინა გოგოლაძე,
ნინო გელოვანი,

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტები.

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციაში

23 ნოემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის მუსიკალურ ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ძველებური მუსიკის კამერული ანსამბლის „იბერია-კონსორტ“-ის (მხატვრული ხელმძღვანელი ი. ტიუაევი) საჩვენებელი კონცერტი. კამერული ინსტრუმენტული ჯგუფის და ვოკალური სეპტეტის რეპერტუარშია ძველი ქართული საგალობლები და დასავლეთევროპული საეკლესიო ხელოვნება — რენესანსისა და ადრინდელი ბაროკოს ეპოქის დავიწყებული მუსიკალური შედევრები. ანსამბლის კონცერტი მსმენელთა ფართო აუდიტორიისათვის განსაზღვრული მუსიკალურ-თეატრალური კომპოზიციაა.

კონცერტის რეპერტუარს და შესრულებას ვრცელი შეფასება მისცა ასოციაცია „პეგასის“ სათათბიროს წევრმა, მომღერალმა ბატონმა ჯემალ მდივანმა.

●

26 ნოემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის ბატონ დემურ ბაშელეიშვილის თავმჯდომარეობით ჩატარდა კინოსტუდია „პეგასფილმის“ შემოქმედებითი ჯგუფის სხდომა. სხდომაზე განიხილეს მხატვრული ფილმის სცენარი, რომელსაც „პეგასფილმი“ კანადელ კოლეგებთან ერთად გადაიღებს, თუ ორივე მხარე ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას მიაღწევს. სცენარის განხილვაში მონაწილეობდნენ რეჟისორები ჯემალ ჰიჰინაძე და უშანგი მჭედლიძე.

●

30 ნოემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციაში განიხილეს ასოციაციის პრეზიდენტის ბატონ დემურ ბაშელეიშვილის წინადადება უახლოეს დღეებში მესხეთ-ჯავახეთში ასოციაცია „პეგასის“ საქველმოქმედო ღონისძიების — კულტურული ექსპედიციის მოწყობის შესახებ. ექსპედიცია ითვალისწინებს ლიტერატურისა და ხელოვნების ქართველ მუშაკთა შეხვედრებს რეგიონის ფართო საზოგადოებასთან, სხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე, სადაც ე.წ. საზღვრისპირა შლაგბაუმმა ყოველგვარი პროგრესის შეღწევას გზა რომ ჩაუკეტა და დღეს განსაკუთრებით რომ იგრძნობა კულტურულ ღონისძიებათა დეფიციტი.

●

7 დეკემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ვაჟა ნინოშვილი, მრჩეველთა საბჭოს წევრი რობერტ ღარიბაშვილი და ქალბატონი ზაირა ასლამაზიშვილი ეწვივნენ ბორჯომის, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებს, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან განიხილეს ასოციაცია „პეგასის“ საქველმოქმედო ღონისძიების — კულტურული ექსპედიციის მოწყობის ორგანიზაციული საკითხები, შეთანხმდნენ ჩატარების თარიღებზე.

●

10 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა. ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა დემურ ბაშელეიშვილმა პრეზიდიუმის წევრებს გააცნო მესხეთ-ჯავახეთში ასოციაცია „პეგასის“ საქველმოქმედო ღონისძიების — კულტურული ექსპედიციის პროგრამა. აღინიშნა, რომ ექსპედიციას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება მით უმეტეს, როცა პრობლემების რიგი ამ რეგიონშიც საკმაოდაა.

პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ფეიქართა თხოვნა და ქ. გორის ფეიქართა კულტურისა და ტექნიკის სასახლე მიიღო საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ კოლექტიურ წევრად.

ერთი დღე გორში

ზვიანი შემოდგომის უჩვეულოდ თბილი დღე იდგა 22 ნოემბერს. ქ. გორის ფეიქართა კულტურისა და ტექნიკის სასახლის თანამშრომლებიც გულთბილად მასპინძლობდნენ სტუმრებს თბილისიდან — საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტს, ბატონ დემურ ბაშელეიშვილს, კომპოზიტორ, ბატონ ვაჟა აზარაშვილს, მომღერლებს, ბატონებს ჯემალ მდივანსა და მერაბ დონაძეს, კინორეჟისორს, ბატონ უშანგი მჭედლიძეს.

სტუმრებმა დაათვალიერეს სასახლე, ფეიქართა პროდუქციის—ქსოვილების გამოფენა განსაკუთრებით კი ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრებმა აღაფრთოვანა ისინი — თამილა თილიკაურის „თუშურმა ხალიჩამ“, ნუნუ მელაძის — „მაკრამემ“, ოლია ბრეგვაძის ყაისნაღით ნაქსოვმა და მზია ნიკოლაიშვილის ხელით ნაქარგმა.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები მათთვის სპეციალურად გამართულ მუსიკალურ-თეატრალურ პროგრამაზე მიიწვიეს. სასახლის თოჯინების სახალხო თეატრმა (რეჟისორი ნუნუ ზაკალაშვილი) წარმოადგინა ნ. გენზელის პიესა „მელაკუდას ოინები“. ახალგაზრდული თეატრის მსახიობებმა სტუმრებს უჩვენეს ნ. დუმბაძის „სისხლი“ (რეჟისორი — ნაირა გრიგალაშვილი).

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება აჩვენეს ბავშვთა და მოზარდთა ანსამბლებმა, ქორეოგრაფების არჩილ მოსეშვილისა და ბეგლარ სოხაძის ხელმძღვანელობით.

სასახლის ბავშვთა სასულე ორკესტრის (ხელმძღვანელი დიმიტრი ბელოგულოვი) წევრებს სტუმრებმა გადასცეს საპატიო სიგელები.

თეატრალურ-მუსიკალური პროგრამა დასრულდა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ცისარტყელას“ (ხელმძღვანელი — გურამ მამუკაშვილი, ვოკალის პედაგოგი — ქეთევან ქუმსიაშვილი) მრავალმხრივი, საინტერესო რეპერტუარით.

დასასრულს ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტი შეხვდა სასახლის შემოქმედებით კოლექტივს. გულწრფელი დიალოგისას გამოიკვეთა მრავალი საკითხი, რომელიც ქართული კულტურის განვითარებას და მისი მიღწევების პროპაგანდას ეხებოდა. აქვე გადაწყდა დეკემბერში სასახლეში მოეწყოს ბრაზილიელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

იმავე საღამოს ჩატარდა საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ქ. გორის ფეიქართა კულტურისა და ტექნიკის სასახლის პირველადი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებამ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია სასახლის დირექტორი რ. მაღლაკელიძე.

ამიერიდან ფეიქართა კულტურის და ტექნიკის სასახლე საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ კოლექტიური წევრია.

რობერტ მაღლაკელიძე,
ქ. [illegible]რის ფეიქართა კულტურისა და ტექნიკის სასახ[illegible]ის დირექტორი.

არაჩვეულებრივი გოგონა



თამუნა ნინოშვილი არცთუ მთლად ჩვეულებრივი თბილისელი გოგოა, იმიტომ რომ მაშინ, როცა ძის ტოლ და ცოტა უფრო უფროს ჩვეულებრივ გოგონათა უმრავლესობას თავი იმითი მოსწონს, რომ „აზრზე არ არის“ და მაინც კარგ ნიშნებს იღებს სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც, თამუნა თვლის, რომ მისი ახლანდელი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საქმე სწავლაა. ეს მისი საქციელით უნდა დაასკვნათ, თორემ თვითონ ამის შესახებ კრინტსაც არა სძრავს. ერთი ჩუმი, თავდაბალი გოგოა.

და [illegible] მოკრძალებულობის მიუხედავად მაინც გამოარჩიეს, შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება დაუფასეს. საქმე ის არის, რომ აპრილში მშვიდობისა და ადამიანის უფლებ[illegible]ბის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „როტარი ინტერნაციონალის“ ინიციატივით მოეწყო კონკურსი ფრანგული ენის კარგად მცოდნე ახალგაზრდების გამოსავლინებლად. მასში 15-დან 20 წლამდე ასაკის ორმოცდაათი მოსწავლე და სტუდენტი მონაწილეობდა. კონკურსი ორ ტურად ტარდებოდა. ზეპირი ტურის შემდეგ მეორე ტურში 10 ბავშვი დაუშვეს. ზოგადსაკაცობრიო თემებზე, მაგალითად ასეთზე: „გამყოფი კედელი ცამდე არ ადის“, „ადამიანმა ცხოვრებაში უნდა აკეთოს უფრო მეტი სიკეთე“, უნდა დაეწერათ თავიანთი თხზულებები. თამუნამ ადამიანის სულში სიკეთისა და ბოროტის ჭიდილს შეხედა და გაიმარჯვა კიდეც. ხუთი თემა საფრანგეთში გააგზავნეს. ისე მოხდა, რომ თამუნა საკავშირო კონკურსშიც ჩართეს და როგორც „კომსომოლსკაია პრავდიდან“ შეიტყო, მას მეორე ადგილი დაუკავებია. საფრანგეთიდან ჩამოსული „როტარის“ წარმომადგენელი კი ამტკიცებდა, ქართველ გოგოხას ჩვენ პირველი ადგილი მივაკუთვნეთო. რას იზამ, ალბათ ინერციით კიდევ კარგა ხანს გაგვყვება „უფროსი ძმის“ ასეთი მზრუნველობა.

საუკეთესოდ მიჩნეულ სხვა თხზულებათა ავტორებთან ერთად ამ ზაფხულს თამუნა საფრანგეთში იმყოფებოდა: პარიზში, ანგულემში, იქ, სადაც ცხოვრობს „როტარის“ პრეზიდენტი, ბატონი ფრანსუა ჟირო, ბორდოში გაეცნო და დაუახლოვდა თავის თანატოლებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ, ვისაც „როტარი“ თავის კეთილისმყოფელ კალთას აფარებს. რომ უფრო გასაგები იყოს ამ მიწვევის მნიშვნელობა, ცოტა რამ უნდა ითქვას „როტარი ინტერნეიშლის“ შესახებ. იგი ყველაზე მარტივად და მკაფიოდ ასე შეიძლება დახასიათდეს: „როტარი“ დედამიწის კეთილი ნების ადამიანებს აკავშირებს ერთიანი მიზნით—მიაღწიონ მშვიდობასა და ურთიერთგაგებას საერთაშორისო საქველმოქმედო და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. „როტარი“ გამოყოფს თანხას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის, მეცნიერებისა და გონებრივი თუ ფიზიკური ნაკლოვანებების მქონე ბავშვთა მასწავლებლებისათვის, სტიქიით დაზარალებული რეგიონებისათვის, ჯანმრთელობის მსოფლიო პროგრამებისათვის და ა.შ. მოკლედ, ეს არის ხორცშესხმული სიკეთე.

საფრანგეთში სასიამოვნო მოგზაურობას სასიამოვნო წინადადებაც მოჰყვა, თბილისელ მოსწავლეს შესთავაზეს სწავლა გააგრძელოს საფრანგეთში — ჯერ, რაღა თქმა უნდა, ლიცეუმში, შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელში. თბილისში დაბრუნებული თამუნა ერთი დღე იყო შინ და მეორე დღეს ისევ პარიზში გაფრინდა. არა, ჯერჯერობით სასწავლებლად არა, თავისი სკოლის მეგობრებთან ერთად. 23-ე სკოლა სპეციალიზებულია და ფრანგული ენის დასახვეწად მიიწვიეს აქაური ბავშვები.

ახლა თამუნა ნინოშვილი მეათე კლასშია. გაისად იგი საფრანგეთში ისწავლის. ეს მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამიტომაც წუთს არ აცდენს ტყუილუბრალოდ. უშეღავათოა საკუთარი თავის მიმართ. ძალიან გვთხოვა, თუ შეიძლება, ფოტო არ დაბეჭდოთ, პრეტენზიული გამოჩნდებაო. აი, ამ უშეღავათობის, მომთხოვნელობის გამო თამუნა ნინოშვილი არაჩვეულებრივი გოგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფოლოგები რუსთავს მირჩევენ...

2 დეკემბერს რუსთავში გაიხსნა უფოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ რუსთავის სადროშოს თავმჯდომარე ბატონი სოსო არეშიძე. ხოლო ამ კონფერენციის სულისჩამდგმელი და მთავარი სპონსორი იყო რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ამავე აღმასკომთან არსებული ტერიტორიულ-სამეურნეზათშორისო გაერთიანების დირექტორი, ბატონი სერგო ტოპრაკაშვილი. გაზეთ „პეგასის“ კორესპონდენტი შეხვდა კონფერენციის დამთავრების შემდეგ ორივე მათგანს და სთხოვა, თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.

სოსო არეშიძე: ალბათ, ყველა დამეთანხმება, თუ რაოდენ პოპულარული გახდა . საქართველოში მეცნიერული მუშაობა ამ დარგში. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ერთი კაცის დამსახურებაა. დიახ, ბატონი თალეს შონია მართლაც გამორჩეული პიროვნებაა ამ დარგში. ბატონი თალესი მეტად საინტერესო პიროვნება და დიდი პოტენციის მქონე კაცია. აღსანიშნავია, რომ მას უაღრესად ძლიერი კვლევის მეთოდები და თავისებური მიგნების საშუალებები გააჩნია და ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა...

ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანიაში ჩატარდა ანალოგიური კონფერენცია, სადაც დიდი შეფასება მიიღო თალეს შონიას შრომებმა. აქვე, ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტიც გვინდა მივაწოდო მკითხველებს — აღსანიშნავია, რომ ქართველი მკვლევარები უფრო მეცნიერული ხაზით იკვლევენ ანომალურ მოვლენებს, ვიდრე მათი უცხოელი კოლეგები. ეს უკანასკნელნი კი უფრო ფანტასტიკური თვალსაზრისით ასაბუთებენ ამა თუ იმ მოვლენას. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო მეტად აქტიური ზონაა ანომალური მოვლენების შესასწავლად და კერძოდ, ჩვენი ქალაქიც. ისიც გავიხსენოთ, რომ რუსთავში ცხოვრობს უკვე საკმაოდ ცნობილი პატარა გოგონა—ლელა, რომელსაც თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს უცხოპლანეტელებთან. ხოლო როცა ბატონი თალესი დაუკავშირდა რუსთავის აღმასკომის ტერიტორიულ-სამეურნეზათშორისო გაერთიანებას, ამ უკანასკნელმა გამოუყო საჭირო თანხა, შენობა და შესაძლებელი გახდა რუსთავში ჩამოყალიბებულიყო საქართველოს უფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ყველაფერმა ამან კი საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ რუსთავში ჩატარებულიყო უფოლოგთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია...

სერგო ტოპრაკაშვილი: სანამ კონფერენციაზე ვისაუბრებდე, იქამდე მინდა „პეგასის“ მკითხველებს ორიოდე სიტყვით მოვუთხრო საქართველოს უფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ. ეს იყო ბატონი თალეს შონიასი და ჩვენს გაერთიანებასთან არსებული მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატის (დირექტორი მამია მახარაძე) მთავარი ინჟინრის ქალბატონ იზოლდა შუბლაძის ურთიერთთანამშრომლობის ნაყოფი. კარგად მოგეხსენებათ, რომ ბატონი თალესი წლების განმავლობაში მუშაობდა ამ პრობლემებზე, მაგრამ, მისივე სიტყვებით, ასეთი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, როგორიც მას რუსთავში შეხვდა, არსად ჰქონია. ჩვენ გამოვუყავით საჭირო თანხა, შენობა, თან ადგილიც შესაბამისი შევურჩიეთ — რუსთავის ერთ-ერთ ახალმშენებარე მიკრორაიონში აშენდა ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური, რომელიც ჯერჯერობით დაუკომპლექტებელია. სწორედ ამ შენობის ბოლო, IV სართული გამოვუყავით ბატონ თალესს და თანაც, ახლოს ისეთი ტერიტორიაა, სადაც თავისუფლად შეუძლია დაჯდომა „მფრინავ თეფშებს“...

რაც შეეხება კონფერენციას, ვთვლი, რომ მართლაც სასიკეთო და დიდი საქმე გაკეთდა. ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჩვენ ვიყავით ორგანიზატორები (მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატმა კონფერენციისათვის 20 000 მანეთი გამოჰყო), მაგრამ მთავარი ორგანიზატორი მეცნიერულ დარგში და სულისჩამდგმელი ბატონი თალესი გახლავთ. კონფერენციაში იღებდნენ მონაწილეობას უფოლოგები ამერიკიდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან. მრავლად იყვნენ ჟურნალისტებიც, რომლებმაც სპეციალური გაზეთიც ჩამოიტანეს (რომლის მხოლოდ ორი ნომერია გამოსული) და თავიანთ მომდევნო ორ ნომერს სწორედ რუსთავის კონფერენციას მიუძღვნიან.

ძალიან გთხოვთ, სხვანაირად არ გამიგოთ და არ შეიძლება არ აღინიშნოს თითოეული მონაწილის კმაყოფილება კონფერენციის მუშაობის ირგვლივ. ეს ეხება როგორც სამეცნიერო თვალსაზრისით, ასევე ორგანიზაციული საკითხებსაც.

დაბოლოს, კიდევ ერთ ფაქტზე მინდა რომ შევჩერდე. როგორც ბატონმა თალესმა ჩამოიტანა ამბავი გერმანიიდან, ამერიკელები აპირებენ ჩვენი უფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწყობას. მე თვითონ ვნახე მათი ორი მართლაცდა ზღაპრული პროექტი და არ არის გამორიცხული, რომ მათვე დააფინანსონ. ეს ყველაფერი კი ახლო მომავლის საქმეა, იქამდე კი ცენტრი მუშაობს და ეს კონფერენციაც მისი ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო...

ესაუბრა
გია ტუხაშვილი

„მარიდათასთან“ შეხვედრამდე

დღეს იმდენი ახალი თუ მივიწყებული სახელი წამოტივტივდება, რომ სულ უფრო და უფრო ედება ფასი სულხანსაბასეულ ფასდაუდებელ ლექსიკონს უამრავი სიახლის სახელწოდების შესარჩევადაც და ამ სახელწოდების მნიშვნელობის გასარკვევადაც. „მა-



რიდათა“ — ასეთი ლამაზად მჟღერი სახელის მქონე სტუდია შეიქმნა საქართველოს დიზაინერთა კავშირთან და „პირველწყაროს“, ამ სტუდიის დამფუძნებელს დათო ქოიავას თვითონ რომ არ აეხსნა მისი მნიშვნელობა, უთუოდ ამაოდ დავუწყებდი ძებნას ლექსიკონებში. არადა, ყველაფერი ძალზე მარტივად ყოფილა, „მარიდათა“ ნიშნავს მარინასა და დათოს, ან უფრო ზუსტად, ორ თანამოაზრე შემოქმედს, რომელთაც გადაუწყვეტიათ საკუთარ ინდივიდუალურ ხელწერათა შერწყმა. ეს კი, მოგეხსენებათ, მაშინ ხდება, როცა ძალიან ძვირად გიღირს საყვარელი საქმეც და თანამოაზრე შემოქმედიც.

ყველაფერი კი კლუბ „ფიროსმანში“ მოწყობილი გამოფენით დაიწყო. მაშინ იქ მარინა გახუტაშვილმა და მისმა მეგობარმა თინიკო ფოფხაძემ თავიანთი ნამუშევრები, ნაირფერი თექები გამოფინეს. თექები თექად, მაგრამ დათოს გაუჩნდა აზრი, რომ ამ თექების ავტორი თავის ნამუშევრებზე ნაკლებ საინტერესო არ იყო. იქნებ — პირიქითაც. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ იქორწინეს. გაჩნდა საერთო საზრუნავი, საერთო ინტერესები არა მხოლოდ ოჯახის, არამედ შემოქმედების თვალსაზრისითაც. ორივე აკადემიის ქსოვილების მხატვრული გაფორმების ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო. ორივე უკვე შეხვედროდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც საწარმოში მისული მხატვრის ჩანაფიქრსა და წარმოების რეალურ შესაძლებლობებს შორის არის აღმართული, ორივე გულგატეხილი თუ არა, ცოტა გაწბილებული მაინც იყო თავის მიერ შექმნილ ესკიზსა და საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციას შორის არსებული სხვაობით და, მიუხედავად ამისა, ორივე ეძიებდა საკუთარ თავს... და იპოვეს კიდეც. თექის ფერადოვნება და სინატიფე არცთუ იშვიათად ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ ეს ყველაფერი სულაც არ არის ძნელი მისაღწევი. არადა, რა რთულია ფერთა კონტრასტით თექის სიბრტყობრიობის დაძლევა, რაც მის ნაკლადაც ქცეულა და ღირსებადაც. თუმცა დათოსა და მარინას ნამუშევრები თექა არც არის მისი ზუსტი მნიშვნელობით. ეს არის უქსოვადი ქსოვილების ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. რაც ტექნოლოგიის განუწყვეტელ სრულყოფას მოითხოვს, მასალის გრძნობის უნარს, განსაკუთრებულ ალღოსაც, რაც, რა თქმა უნდა, გამოცდილებითაც შეიძინება, მაგრამ მომადლებულიც უნდა გქონდეს. ეს მომადლებული ნიჭი აშკარად იგრძნობა მარინასა და დათოს ნამუშევრებში და, უპირველეს ყოვლისა, ფერებით აზროვნებაში მჟღავნდება. ამ მხრივ ისინი შეიძლება ფერწერულ ტილოებს შეადაროთ.

მარინა და დათო ახლა გამოფენის მოსაწყობად ემზადებიან. მათ ნამუშევრებზე ავტორის აღმნიშვნელად „მარიდათა“ იქნება. ისინი უთუოდ დაგამახსოვრებენ თავს, ამიტომ სჯობს, ახლავე დაიმახსოვროთ მათი ავტორების სახელები — მარინა გახუტაშვილი და დათო ქოიავა.

ქოიავებთან სტუმრობისას ტელევიზიით გადმოსცეს ისრაელის ქალაქ იერუსალიმის კლინიკა „ადასაში“ მწვავე ლეიკოზის დიაგნოზით საოპერაციოდ მოთავსებული 8 წლის შოთიკო თენგიზის ძე დუშუაშვილის ამბავი. ბავშვს უნდა გაუკეთდეს ურთულესი ოპერაცია — ძვლის ტვინის გადანერგვა. მას დონორობას უწევს ძმა, 7 წლის მიშიკო. ტელევიზიით გამოსული ახალგაზრდა კაცი, ასოციაციის — „ბავშვებს — სუფთა პლანეტას“ წარმომადგენელი (მისი გვარი [არ მახსოვს] ლაპარაკობდა იმის თაობაზე, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და საჭიროა თანხის შეგროვება მანეთებში, რათა მოხდეს საჭირო ვალუტის შესყიდვა. დათომ თქვა, რომ ამ ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“, და „გამოტყდა“, რომ თვითონ ასოციაციის — „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“ — გამგეობის წევრია, მათი წამოწყებულია ეს საქმე და რახან საშუალება ეძლევა, გვთხოვს, რომ გაზეთ „პეგასის“ მეშვეობით ვაცნობოთ მკითხველებს შოთიკო დუშუაშვილის დასახმარებლად შექმნილი ფონდის ანგარიში. ესეც ერთი შტრიხი ახალგაზრდა შემოქმედის პიროვნების გასაცნობად...

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ვაცნობოთ ფონდის ანგარიში და

გთხოვოთ დახმარება ორი პატარა სიცოცხლის გადასარჩენად.

ჭიათურა, ჭიათურის მრეწვმშენბანკი 521567, მშენბანკის 16401.

პირადი ანგარიში 8013.

ტელეტაიპი 327741. თენგიზ შოთას ძე დუშუაშვილი. ქვითრის ასლი გადმოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: 380018, ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. № 2, ოთახი 225. ტელეფონი 99-03-64, საქართველოს საქველმოქმედო ასოციაცია „ბავშვებს — სუფთა პლანეტა“.

გულიკო ბაშარული

ძვირფასო მკითხველებო! ეს დეფიციტური საქონელი, რომელსაც თქვენ ამ სურათებზე ხედავთ და რომლის შოვნისთვისაც არაერთხელ ამაოდ შემოგივლიათ ჩვენი მაღაზიები, შეგიძლიათ იყიდოთ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, რომელსაც ამ ფოტოების ავტორმა სრულიად სამართლიანად უწოდა კურტკეთი. ამისათვის საჭიროა იშოვოთ თურქეთის ვიზა, მერე უცხოური პასპორტი, ვალუტა და ა. შ. თუმცა არც ეს პროცესია მაღაზიებში ...არულზე ნაკლებ ქანცგამწყვეტი. სამაგიეროდ იქ ყველაფერს იშოვით, მათ შორის ჩვენს სამამულო წარმოების პროდუქციასაც.



ნ. ი. რიჟკოვი ნეიტრალურ ქვეყანაში მიდის

სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ წრეებში დაბეჯითებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ პრემიერ რიჟკოვის მთავრობის გადადგომის შემთხვევაში ის გაიგზავნება დიპლომატიურ სამუშაოზე. ასახელებენ ,ყველაზე სავარაუდო ქვეყნებს, სადაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მომავალი ექს-პრემიერის დიპლომატიური ტალანტი. ეს ნეიტრალური ქვეყნებია ავსტრია და შვეიცარია.

პრეზიდენტი 60 დოლარად

„ფული დაბრუნებული იქნეს, გამყიდველი კი — დაპატიმრებული“. — ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს მილიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც არბატზე დააკავეს მოსკოველი. მან ამერიკელ ტურისტს 60 დოლარად მიჰყიდა „მატრიოშკას“ ტიპის ხის ფიგურა, რომელზედაც პრეზიდენტი გორბაჩოვი იყო გამოსახული. მოქმედი საბჭოთა კანონების მიხედვით, მსგავსი „გაცვლა“ ითვლება სავალუტო ოპერაციების წესთა დარღვევად. მოსკოველ მილიციელთა მოხერხებულობის წყალობით სახელმწიფო სავალუტო მონოპოლია კვლავ გადარჩა.



ჯორჯ ბუში და სადამ ჰუსეინი უკვე კარგა ხანია ერთმანეთს სიტყვიერ მუქარას უთვლიან და ნაბიჯს არ დგამენ არც სამტროდ და არც სამოყვროდ. ასეთი პოზიციის შედეგი აშკარად ჩანს ამ კარიკატურაზე.

სხვა გაზეთებიდან

იქნება ვონეტის სასახლე

ლიტვის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა შექმნას ლიტვის მონეტის სასახლე და დანერგოს მისი წარმოება. ამის შესახებ იტყობინებოდა რესპუბლიკის გაზეთი „ეხო ლიტვი.“

კამჩატკაზე სათევზაოდ

აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და ესტონეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრის დროს ახსენეს პრეზიდენტის ჰობი — თევზაობა. პრეზიდენტმა სურვილი გამოთქვა იმის შესახებ, რომ დიდი სიამოვნებით დაისვენებდა კამჩატკაზე, სადაც ორაგული უხვადაა. შეიტყვეს რა პრეზიდენტის ეს სურვილი, კამჩატკის საოლქო საბჭოს დეპუტატებმა თავიანთ სესიაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება პრეზიდენტ ბუშის კამჩატკაზე მიწვევის თაობაზე.

მოსკოვში აშშ-ის საელჩო შენობა დღემდე ცარიელია, ხოლო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი კვლავ იმას ამტკიცებს, რომ შენობაში მიყურადების მოწყობილობა არ არსებობს. რეალურად როგორაა საქმე? საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დაუთვლელი ფარული ბიუჯეტიდან აშშ-ის საელჩოს შენობა ალბათ არაერთი ასობით მილიონი მანეთი დაუჯდა. იქ ელექტროგაყვანილობა ოქროსა, რეინბეტონის სპეცკონსტრუქცია, რომელსაც გამოსხივება ფოკუსში მოჰყავს და უწყვეტ ანტენად გამოიყენება. იქ კიდევ განსაკუთრებული რეზონანსის კონტურები და მიკროფონებია. თუ ჯაშუშობას განვიხილავთ, როგორც „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, მაშინ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმარჯვე თანამშრომლების ვირტუოზობა გაგაოცებთ. ამ პროფესიის ადამიანებმა თავიანთი საქმიანობის პრაქტიკაში სხვა გზა აირჩიეს — მიყურადება და ჯაშუშობა არა მიკროფონებით, არამედ მიკროსისტემით, რომელიც საუბრის მიღებისა და გადაცემისათვის მოთავსებული იყო შენობის ჭერში, კედლებსა და შენობის საყრდენში.

●

1923 წელს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გამოჩენილი ნორვეგიელის ფრიტიოფ ნანსენის წიგნი „რუსეთი და მითი“. ნანსენის გადმოცემით, რუსეთს 1909-1913 წლებში მოჰყავდა მსოფლიოს მასშტაბით პურის ყოველწლიური მოსავლის მეოთხედზე მეტი, ხოლო გაჰქონდა საშუალოდ 8,7 მილიონი ტონა, ე. ი. კანადის, აშშ და არგენტინის მიერ ერთად გატანილ საქონელზე მეტი. 1913 წელს რუსეთის პურის ექსპორტი აჭარბებდა 10 მილიონ ტონას. ამავე დროს რუსეთი ევროპას აწვდიდა 6.274 ათას სულ საქონელს, გააჩნდა 25 მილიონზე მეტი სული ცხენი, 37 მილიონი სული რქოსანი პირუტყვი, 45 მილიონი სული ცხვარი და ა. შ. როგორც ვხედავთ, ამისათვის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები და გმირობისათვის „ოქროს მედალი“ საჭირო არ იყო.

●

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იური მანაენკოვმა

ინფორმაცია

პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტის საკუთრებას წარმოადგენს 4,9 მილიარდი მანეთი. აქედან 1,9 მილიარდი მანეთი შენობების ღირებულებაა, 1,0 მილიარდი მანეთი — ბოლოგრადული ბაზის, 400 მილიონი მანეთი — სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების, 200 მილიონი კი — სასწავლო დაწესებულებების.

იური მანაენკოვმა ასევე განაცხადა, რომ ამ საკუთრებაზე შესაბამისი დოკუმენტებიც არსებობს, რომლის თანახმადაც იგი დაგროვდა საწევროების გადასახადებისა და პარტიული გამომცემლობებიდან შემოსული თანხით.

●

სსრკ საგარეო ვალმა წლის ბოლოსათვის შეიძლება 70 მილიარდ დოლარს გადააჭარბოს. გასათვალისწინებელია საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოსალოდნელი უარყოფითი სალდო—10 მილიარდი მანეთი (—3, 4 მილიარდი მანეთი 1989 წ.) და მიღებული ახალი საგარეო სესხი.

●

სსრკ სახალხო მეურნეობაში საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს 257 მანეთს, რაც 1989 წელთან შედარებით 8,5%-თაა გაზრდილი. მმართველ ორგანოებში საშუალო ხელფასი 300 მანეთია, ხოლო კულტურისა და ხელოვნების სფეროში 162 მანეთი.

●

სსრკ-ში დემოგრაფიული მდგომარეობა მწვავდება. ქვეყანაში აღრიცხულია 600 ათასი ლტოლვილი. საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წავიდა 400 ათასზე მეტი ადამიანი ანუ გასულ წელთან შედარებით 2-ჯერ მეტი. ქვეყანას უფრო ხშირად ტოვებს ახალგაზრდა თაობა. დაფიქსირებულია პირველი საბჭოთა უმუშევრობა: შრომისუნარიან მოსახლეობიდან არ მუშაობს 8 მილიონი ადამიანი.

მოამზადეს
ნინო რაზმაძემ და
ნინო გაშელეიშვილმა.

ყველას! ყველას! ყველას!...

— თქვენ თუ საქმიან კონტაქტებს ეძებთ,
— თქვენ თუ გნებავთ თქვენი კაპიტალის ხელსაყრელად დაბანდება,
— თქვენ თუ გნებავთ უცხოელ პარტნიორებთან დაახლოება,
— თქვენ თუ გნებავთ თქვენი პროდუქციის გასაღება,
— თქვენ თუ გნებავთ თქვენი საქმიანობის რეკლამა,
— თქვენ თუ გნებავთ გახდეთ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის წევრი,
— თქვენ თუ გნებავთ... და საერთოდ თქვენ თუ საქმიანი კაცი ხართ, თქვენს სამსახურშია გაზეთი „პეგასი“ ეს სწორედ ის გაზეთია, თქვენ რომ გჭირდებათ. ჩვენი გაზეთი საქართველოში ნახევარმილიონიანი ტირაჟით ვრცელდება და მისი ინგლისური ანოტაცია იგზავნება საზღვარგარეთის 12 ქვეყანაში, ამიტომაც ჩვენთან რეკლამა ყველაზე მომგებიანი და პრესტიჟულია.



დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ ტელეფონზე: 29-39-35

ხელშეკრულებას გააფორმებთ მისამართზე:
380062, თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 55. საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია.

ყველას! ყველას! ყველას!...

ინდექსი 66419

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

დაიბეჭდა საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
380062, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის პრ. № 55.

ხვალ თამრიკოს დაბადების დღეა



თამარ ჰოველიძეს — იმ ავბედით 9 აპრილს დაღუპულ გოგონას თბილისის ნინოწმინდის (კუკიის) ეკლესიაში მიუჩინეს სამუდამო სამკვიდრებელი. 14 დეკემბერს მას თვრამეტი წელი შეუსრულდებოდა. თამრიკოს მუდამდღე იგონებენ ახლობლები და მეგობრები. ის მათს ფიქრებსა და მოგონებებში ცოცხლობს.

თამრიკოს იგონებს ნინოწმინდის ეკლესიის წინამძღვარი **მამა ბაბრინელი:**

— თამრიკო ჩემი ნათლული იყო, ამ უბანში გაიზარდა. ხშირად დადიოდა აქ, ნინოწმინდაში, ჰეშმარიტად ქრისტიანი იყო, ასეთადვე დარჩა ჩემს მახსოვრობაში: ღრმად მორწმუნე, ღვთისმოშიში... ბუნებით კი ჩუმი, მოკრძალებული, დიდივით დადინჯებული.

როცა აპრილის იმ საზარელ ღამის შემდეგ ვიხილე, ვეღარ ვიცანი: ისე შეცვლილიყო არაადამიანურად ნაწამები... თამრიკო ნინოწმინდის ეკლესიის შემოსასვლელში დაიკრძალა...

— ნინოწმინდის ეკლესია, რამდენადაც ვიცი, ადრე არც თუ ხახარბიელო მდგომარეობაში იყო. ახლა კი... ვიხი ძალიხმევით გაკეთდა ეს ყველაფერი?

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით; ხოლო სამუშაოებს უშუალოდ თამრიკოს მამა — არკადი ჰოველიძე და მისები. თავდადებული ადამიანები უძღვებოდნენ. სახსრებიც გაიღეს, საშენი მასალებიც მოიტანეს, ისტორიისა და კულტურის ძეგლების ქომაგთა მხარდაჭერაც იყო.

— კერძოდ რა გაკეთდა, რა ცვლილებები განიცადა ნაგებობამ?

— ნინოწმინდის ეკლესიის რუსული ტიპის გუმბათები ქართულ, შუბისებურ გუმბათებად გაკეთდა და ზედ წმინდა ნინოს ჯვარი დადგა. კედლებზე რუსული ტრაფარეტული მხატვრობა ქართულმა ფრესკულმა მხატვრობამ შეცვალა (მხატვარი ზურაბ ხაბაძე). შენობას სახურავი გამოეცვალა, კეთილმოეწყო შემოსასვლელი. ადრე - აქ ტანკი იდგა, ახლა იმ ადგილას ჯვარია აღმართული და შემდგომში მოეწყობა წყალკურთხევის რიტუალი...

— 14 დეკემბერს თამრიკო ჰოველიძის დაბადების დღეა. როგორ აღინიშნება ნინოწმინდის ეკლესიაში ეს თარიღი?

— ეს დღე ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამ დღეს აქ ჩატარდება წირვა და ზედმობმული პანაშვიდი 9 აპრილს დაღუპულთა მოსახსენებლად. მოწვეულ იქნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ.

აქ მოვლენ თამრიკოს მშობლები, ახლობლები, მეგობრები, რათა პატივი მიაგონ სამშობლოსათვის დაღუპული გოგონას ხსოვნას.

ესაუბრა ირმა გუგუშვილი, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

12 დეკემბრიდან 26 მაისამდე

ქართველი ერის ისტორიაში არის თარიღები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება წლების განმავლობაში ჩქმალავდა ან საკუთარი ინტერპრეტაციით გვთავაზობდა. გავიდა დრო, საქართველოში თავისუფლების სიომ დაქროლა და თავისი ადგილი მიუჩინა 26 მაისსაც და 25 თებერვალსაც. მაგრამ ვფიქრობთ, ჯერ კიდევ მთელი სიცხადით არ არის წარმოჩენილი 1917 წლის 12 დეკემბრის გადამწყვეტი როლი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. ამ დღეს სახალხო გვარდიის მცირერიცხოვანმა რაზმმა მოულოდნელი თავდასხმით ხელში ჩაიგდო თბილისის არსენალი, რითაც ნიადაგი გამოაცალა რუსთა ბატონობას საქართველოს დედაქალაქში. არსენალის დაპატრონებამ, რომელიც ამიერკავკასიაში იარაღის მთავარ საწყობს წარმოადგენდა, საფუძველი ჩაუყარა ეროვნული საჯარისო ნაწილების შექმნას. საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შემდეგ 12 დეკემბერი გამოცხადდა სახალხო გვარდიის დღედ. ამ დღეს თბილისში იმართებოდა აღლუმები, გვარდიისა და ჯარის ნაწილები ასდენდნენ რესპუბლიკის სამხედრო ძლიერების დემონსტრირებას. 12 დეკემბერი იქცა ქართული შეიარაღებული ძალების დღესასწაულად.

ისტორიამ შემოგვინახა იშვიათი დოკუმენტი — არსენალის აღებაში მონაწილე გვარდიელების სურათი, რომლის გადაღების შესახებ მოგვითხრობს ცნობილი სოციალ-დემოკრატი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი წინამძღოლი, შემდგომში უცხოეთში გახიზნული ვალიკო ჩუბინიძე: 12 დეკემბერს სასახლის ბაღში „თავი მოიყარეს რაზმელებმა, რომელთაც ზოგს ცილინდრი ეხურა, ზოგს — ყაბალახი, ზოგს — ყალმუხის ქუდი; ხელში ეჭირათ ზოგს „რაშორერა“ თოფი, ზოგს კი — ბერდანის. სიცილ-თამაშით, სიმღერით და ხუმრობითაც კარგა ხანს იქცევდნენ ბაღში თავს და არც კი იცოდნენ რისთვის მოვიდნენ. პური ვჭამეთ, ათისთავებთ რაზმებიც დაეწყო, წავიმეცადინეთ და მათ შორის სმა გაისმა — რისთვის ვართ მოსული და ამდენ დროს ვკარგავთო?“

— მოვედით დასახატავად. ფოტოგრაფი შეგვპირდა მოსვლას, წყეულმა დაგვიანა, არ სჩანსო!— უთხრეს რა ასე რაზმელებს, ფოტოგრაფიც მოვიდა და სურათიც გადაიღეს“. („მოგონება“, გვ. 32, პარიზი, 1938 წ.).

ფოტოდან შემოგვყურებს მომღიმარი, უბრალო მუშური სახეები, წინა რიგებში ჩანან ვალიკო ჯუღელი, ვალოდია გოგუაძე, ვლასა მგელაძე და სხვანი, რომელთაც ალბათ, არც კი აქვთ გააზრებული, თუ რა ისტორიული მნიშვნელობის წამი გამოსტაცა ფოტოგრაფმა წარმავლობას... სულ ცოტა ხანში, ყოველი მათგანი ასეთივე სილაღით და სიხალისით სასწორზე შეაგდებს საკუთარ სიცოცხლეს და საოცრად გაბედული იერიშით ისტორიულ გამარჯვებას მოუპოვებს ქართველ ერს.

1917 წლის ქრისტეშობისთვის 12 არის დღე, ურომლისოდაც საქართველოს არ გაუთენდებოდა 26 მაისის დილა, რომელიც ბოლშევიკური განუკითხაობის ნიაღვარი წალეკავდა ქვეყანას და 1921 წლის 25 თებერვალი დაგვიდგებოდა ადრე, ბევრად უფრო ადრე, ისე რომ, არ გვეჭნებოდა არც 26 მაისი და არც სამწლიანი, უაღრესად შინაარსიანი, გრანდიოზული ბრძოლითა და კოლიზიებით აღსავსე ისტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა.

ამ დროისათვის საქართველოში ბოლშევიკთა გავლენა უმნიშვნელო იყო, მაგრამ თბილისის 20.000-იანი გარნიზონი მთლიანად გაბოლშევიკებული გახლდათ, ისინი აკონტროლებენ არსენალს, კავკასიის არმიის საწყობებს; თავაშვებული ჯარისკაცები არ ერიდებოდნენ არც ოფიცერთა შეურაცხყოფას და არც ძარცვა-გლეჯას.

ერთადერთი ძალა, რომელიც შეიძლებოდა დაპირისპირებოდა ამ უზარმაზარ სალდათურ მასას, იყო ცუდად შეიარაღებული, ნაჩქარევად შეკრებილი რამდენიმე ასეული კაცი თბილისის მუშათა გვარდიისა. მაგრამ დრო არ ითმენდა, ბოლშევიკებს უკვე ჰქონდათ შემუშავებული გეგმა, რუს ჯარისკაცებზე დაყრდნობით თბილისის დაპატრონებისა; ქართველებს, უნდა ესარგებლათ მოწინააღმდეგის დაჯაჭულობით და აი, 12 დეკემბერს, დილის 11 საათიდან სასახლის ბაღში თავი მოიყარა სამასიოდე სახალხო გვარდიელმა; საღამოს 10 საათზე კი ერთადერთმა ქართულმა შეიარაღებულმა ძალამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, იერიში მიიტანა რუსეთის ბასტიონზე საქართველოში — თბილისის არსენალზე.

სახალხო გვარდიამ ბრწყინვალედ ჩაატარა არსენალის აღების ოპერაცია. უპირველესად მათ დაიკავეს ხიდები მტკვარზე, გარსშემოეწყვნენ არსენალს, მოულოდნელი თავდასხმით დაატყვევეს მთავარი ალაყაფის მცველები, გაიგეს პაროლი („შტერი“), მისი მეშვეობით შეაღწიეს შიგ და იარაღი აჰყარეს არსენალის მცველ ბოლშევიკ-ჯარისკაცებს.

მყისვე შეუდგნენ არსენალის მისადგომების გამაგრებას. სწორედ დროულადაც, რადგან აქეთკენ უკვე მოეშურებოდნენ ბოლშევიკებით გაძეძგილი სამბარგო ავტომობილები. სახალხო გვარდიამ განაიარაღა ისინი. მათ წინამძღოლს კოტე ციწიკაძეს პირველი ნოე ხომერიკი ეკვეთა და იარაღი აართვა.

მეორე დღეს გონსმოსული ბოლშევიკები შეტევაზე გადმოვიდნენ 218-ე პოლკით და სამხედრო მატარებლით. ამავე დროს ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ უმნიშვნელოვანესი პუნქტები ქალაქში (სასახლე, ფოსტა-ტელეგრაფი, ბანკი), მაგრამ ყველგან აწყდებოდნენ გვარდიელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას, ისინი მარცხდებოდნენ და გაქცევით შველოდნენ თავს.

არსენალის აღებამ შესაძლებელი გახადა ქართული შეიარაღებული ძალების შექმნა და თბილისს გაწმენდა ბოლშევიკური პოლკებისაგან.

არსენალის აღების მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის ბოლშევიკთა დელეგაცია კრემლში ეახლა ლენინს ომბდარის ასახსნელად.

ორჯერ სცადეს მათ თავის მართლება და ორჯერვე ერთი ფრაზით შეაწყვეტინა ლენინმა:—„არა, არსენალი ხომ მაინც ჩააბარეთ მენშევიკებსო!“.

ვინ, ვინ და ულიანოვ-ლენინმა ყველაზე კარგად უწყოდა, რომ არსენალის დაკარგვით საფუძველი ეცლებოდა რუსთა ბატონობას საქართველოში.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სოციალ-დემოკრატების უდიდესი წვლილისა არსენალის აღებაში, ეს პატივი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე წოდებას ან პარტიას; ეს არის შედეგი ეროვნული ენერგიის გამოვლენისა და ნაყოფი ქართველი ერის ძალისხმევისა, რომეთუ ამ დღეს ქართველმა მუშამ და ინტელიგენტმა გაიმარჯვა რუს ჯარისკაცზე და ბოლშევიკზე.

ამრიგად, გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ 26 მაისი არ ყოფილა მხოლოდენ გარეპოლიტიკური ვითარებით განპირობებული და რომ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არსენალის აღებას, როდესაც ქართველი ხალხის შეიარაღებულმა ძალამ — სახალხო გვარდიამ დაამხო უკანასკნელი ციტადელი რუსეთისა საქართველოს სატახტო ქალაქში.

ხატოვნად რომ ვთქვათ, სწორედ 1917 წლის 12 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე დაწყებული იერიშის დროს იწერებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წლის 26 მაისს რომ წაიკითხა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ სიხარულის ცრემლმომდგარი ქართველი ხალხის წინაშე.

ბაბუა ჭურჭუჩია

განცხადებები

ეროვნული პრესა

საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების საქველმოქმედო კომიტეტთან არსებულ შემოქმედებით გაერთიანება „ორბთან“ იქმნება საესტრადო ანსამბლი „ორბი“, რომელიც დაკომპლექტდება ბავშვთა სახლების აღსაზრდელი (ობოლ და შშობელთა მზრუნველობას მოკლებულ) ბავშვებით.

შემოქმედებითი გაერთიანება „ორბი“ მოგმართავთ თხოვნით საქართველოს ყველა ბავშვთა სახლის კოლექტივს, გაგვიწიოთ თანადგომა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების გამოვლენაში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, კრილოვის 4 ტელეფონი:96-24-30

საქართველოს მშრომელების საყურადღებოდ!

დღეს, ისე როგორც არასდროს გვჭირდება ერთიანობა, რათა დავუდგეთ გვერდში ჩვენს მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილ ეროვნულ პარლამენტს დაკარგული დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაბრუნებლად; მითუმეტეს, რომ გარდამავალი პერიოდის დროს მოსალოდნელია საქართველოს მიმართ მრავალი ახალი წინააღმდეგობები, საბოტაჟები და ეკონომიკურ-პოლიტიკური სანქციები.

იმასთან დაკავშირებით, რომ შენარჩუნებული და გაძლიერებული იქნეს საქართველოს თითოეული მშრომელის სოციალური დაცვა და გარანტიები, არ ჰქონდეს ადგილი მშრომელების კანონიერი ინტერესების შეზღუდვასა და ამაზე დაყრდნობით ქაოსის გამოწვევას წარმოება-დაწესებულებებში, რაც არაკეთილმოსურნეების წისქვილზე წყლის დასხმა იქნებოდა, გაცნობებთ:

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციაში, მშრომელთა თავისუფალ პროფკავშირულ მოძრაობასთან მუშაობს ჯგუფი, რომლის საქმიანობაც წარმართული იქნება:

1. საქართველოს და მისი მშრომელების ინტერესებიდან გამომდინარე, დღევანდელ ეტაპზე პროფკავშირების ერთიანობის შესანარჩუნებლად.

2. ადმინისტაციისა და მშრომელებს შორის არსებული კონფლიქტების დროს პროფკავშირის წევრების ინტერესების მხარდასაჭერად.

3. საქართველოს მშრომელთა ინტერესების და უფლებების დამცავი ორგანოს, პროფესიული კავშირების საბოლოო სახის ალსადგენად და ჩამოსაყალიბებლად.

ყველა დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს აღნიშნული მიმართულებით უკვე გაწეულ მუშაობას და მიიღოს კონსულტაციები მისთვის საჭირო საკითხზე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახი № 69, ტელ. 93-43-95.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია,
საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა.

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის

განცხადება

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის მეორე კონგრესის დელეგატების საყურადღებოდ: საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის მეორე კონგრესი გაიმართება ამა წლის 15 დეკემბერს, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების სახლის საქტო დარბაზში.

რეგისტრაცია დილის 9 საათიდან.

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრთა საყურადღებოდ: საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პირველი ყრილობა დაიწყება ამა წლის 16 დეკემბერს დილის 10 საათზე, დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის სახლის საქტო დარბაზში (გრიბოედოვის № 19).

„ნარიყალას“ თაოსნობით...

გასულ შაბათ-კვირას კვლავ ახმაურდა სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დარბაზი. როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, კომერციული ფირმა „ნარიყალას“ თაოსნობით ამ რამდენიმე ხნის წინათ სტარტი აიღო თბილისის პირველობამ უბნებს შორის მინი-ფეხბურთში.

თავდაპირველად 24 მონაწილე გუნდი 6 ქვეჯგუფში განაწილდა, სადაც უკვე დასრულდა კიდეევაც წინასწარი თამაშები. აღსანიშნავია, რომ მეორე ეტაპზე გასული 16 გუნდის შერჩევა მოხდა იმავე პრინციპით, როგორც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე იყო — თითოეულ ქვეჯგუფში ორ-ორ გამარჯვებულს დაემატა მესამე ადგილზე გასული გუნდებიდან 4 საუკეთესო შედეგის მქონე.

აი, ისინიც, ვინც დაძაბული ბრძოლების შემდეგ მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: „ვერა-I“, „ვაკე-I“, „დიღომი“, „ძველეთი“ (დიდუბე), „საბურთალო-I“, „ნავთლუღი“, „საბურთალო-II“, „დიდუბე-I“, „ნაძალადევი-II“, „ვაჟა-ფშაველა“, „საბურთალო-IV“, „ვერა-II“, „ქართლი“ (ნაძალადევი), „დიდუბე-II“, „ჩუღურეთი“ და „ოქროსუბანი“. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებულ პრიზზე სავსებით დამსახურებულად აცხადებს პრეტენზიას მამუკა ფანცულაია („დიდუბე-I“), რომელსაც უკვე 14 გოლი აქვს გატანილი.

რაც შეეხება ყველაზე სწრაფ გოლს, მისი ავტორი გახლავთ „ვაკე-I“-ის წევრი დათო სიგუა, რომელმაც მეტოქის კარში ბურთი მეშვიდე(!) წამზე გაახვია...

აქვე, ერთი ფრიად არასასიამოვნო მომენტიც გვინდა აღვნიშნოთ. შეჯიბრების ორგანიზატორებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთშეთანხმების მიუხედავად, რაც დაკავშირებული იყო ამ ტურნირის მსაჯობასთან, ჯერჯერობით გაურკვეველი სიტუაციაა. ჩვენც და შეჯიბრების ორგანიზატორებიც მოველით, რომ მომავალში ეს საქმე სასიკეთოდ გადაწყდება.

დასასრულ, გვინდა შევახსენოთ მინი-ფეხბურთის მოყვარულთ, რომ შაბათ-კვირას „ქარიშხალას“ სპორტდარბაზში მერვედფინალური შეხვედრები გაიმართება, რომელიც ბევრ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივრებს (შეხვედრების დასაწყისი 13 საათზე).

სოფიკო კერძაია

ალორძინება · არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

ალორძინება

საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების" მიერ გამოშვებული საშობაო მისალოცი ერთსა და იმავე დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო მილოცვაცაა.

მიულოცეთ შობის დღესასწაული თქვენს ახლობლებს მისალოცებს შეიძენთ „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.

ალორძინება

საიჯარო საწარმო „საქმილსადენმშენი"

პირდაპირი ხელშეკრულებით აწარმოებს ლითონის მილსადენების მშენებლობას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, როგორც დამკვეთის ასევე საკუთარი მილებით, დიამეტრით 0,5-დან 1,4 მეტრამდე.

ხელშეკრულების დადების მსურველებმა მოგვაკითხონ მისამართზე: ქ.წყალტუბო ქუთაისის ქუჩა №4. ტელეფონები: 2-37-14, 2-13-97.

სარეკლამო სააგენტო „არნო-ბლიკი"

იყიდება

„ჩერნიგოვის" მარკის ავტობუსი. მსურველებს შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. № 1. ტელეფონი: 62-19-74 (19.00 სთ-იდან 21.00 სთ-მდე)

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი".

იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობაა - პორტრეტი — 2 წთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, კოოპერატივი „სავანე".

ტელ: 37-58-25 (11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

გვესაჭიროება

1 ოთახი ქალაქის ცენტრში, პირველ სართულზე (სასურველია ტელეფონით) კომერციული საქმიანობისათვის.

გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 37-58-25 (14.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე), ან მობრძანდეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1 (14.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

კოოპერატივი „სავანე"

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „სავანე" (9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

გვესაჭიროება

მცხობელები საზეიმო სუფრის ნამცხვრებისა და ტორტების გამოსაცხობად.

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: დავით გურამიშვილის გამზირი (ყოფილი აკჭალის გზატკეცილი) №75 და №77 კორპუსებს შორის მდებარე წითელი ჯიხური წარწერით „სავანე". ტ. 62-19-74 (19.00 სთ-დან 20.00 სთ-მდე).

ასევე მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სახის ნამცხვრებს ამავე მისამართზე 8.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

საპატენტო სააგენტო „ალვა"

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს ერთიანი, ორგანიზაციების სახელწოდებების და ემბლემების სარეგისტრაციო კატალოგი. ინფორმაციის თავმოყრა ხორციელდება ასოციაცია „ქასესის" და ფირმა „არგოს" ერთობლივი საპატენტო სააგენტოს „ალვას" კომპიუტერულ ბაზაზე. სააგენტო „ალვა" რეგისტრირებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ.

კატალოგი დგება მაღალკვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. საფუძველი ეყრება საერთაშორისო სარეგისტრაციო ქსელსამსახურს საქართველოში.

თუ გსურთ, თქვენი ორგანიზაციის ემბლემა და სახელწოდება საქართველოს ტერიტორიაზე არ გაიმეოროს სხვა ორგანიზაციამ, მოგვმართეთ! საპატენტო სააგენტო „ალვა" თქვენს ემბლემასა და სახელწოდებას შეიტანს ზემოაღნიშნულ კატალოგში.

მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი. ანაგის №7. შრომის სახსლე. 12 სართული. ტელეფონი: 38-01-96

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

ვიზების სათარგმნად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს", რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 35-18-27 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. №74

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверieli»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ზურაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოშარაულის № 29 ... 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.